სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 თებერვალი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/21

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის (N81, 23.09.2016წ.) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისშესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული **დებულების** (N1 დანართის) **მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,4. ერთი და იგივე პირი (პერსონალი, ემერიტუსი ან სტუდენტი) ერთდროულად შესაძლებელია მონაწილეობდეს **არაუმეტეს ორ მიზნობრივ პროექტში:** ერთ შემთხვევაში - როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი/მენეჯერი, მეორე შემთხვევაში - როგორც მონაწილე პირი ან ორივე პროექტში - როგორც მონაწილე პირი. იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ამ პირის სხვადასხვა პროექტში ჩართვის თაობაზე თანხმობა და საბოლოოდ იგი აღმოჩნდება **ორზე მეტი გამარჯვებული პროექტის** მონაწილე, მისივე განცხადებით (წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე) განისაზღვრება ის ერთი (ან ორი) პროექტი, რომელშიც მონაწილეობას (ან/და ხელმძღვანელობას) უპირატესობას მიანიჭებს და გაუფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.“.

2. დადგენილება და კოდიფიცირებული ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარი).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**